საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემოწმების აქტი №002457/შ

შედგენის თარიღი: 20 იანვარი, 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, კერძოდ, **2021 წლის 22 სექტემბრის №002457 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმითა და 2021 წლის 22 სექტემბრის №002457/ო** მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსასწორებლად განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted] და მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [redacted] მიერ, **2021 წლის 9 დეკემბერს** განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

დასახელება: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788;

გენერალური დირექტორი - გიორგი შარკოვი;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი №2;

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი №2.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიმართ, 2021 წლის 22 სექტემბერს გაიცა №002457 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და 2021 წლის 22 სექტემბრის №002457/ო მითითება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ ორგანიზაციას განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

2021 წლის 22 სექტემბრის №002457 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმითა და მასზე თნდართული №002457/ო მითითებით დამსაქმებელს დაევალა:

1. კანონდებლობასთან შესაბამისობაში მოეყვანა შინაგანაწესის დებულებები, რომელიც ითვალისწინებდა საბოლოო ანგარიშსწორებისას სამუშაო წლის გამოუმუშავებული დღეების პროპორციული საშვებულებო თანხის დაქვითვის შესაძლებლობას;
2. საჩივრის ავტორის (ყოფილი დასაქმებულის) [redacted] საბოლოო ანგარიშსწორებისას გამოყენებული შვებულების დღეთა პროპორციულად კანონის დარღვევით დაქვითული თანხის - ჯამში 680.80 ლარის ანაზღაურება;
3. საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნებისთვის საჩივრის ავტორის (ყოფილი დასაქმებულის) [redacted] კანონით დადგენილი შესაბამისი პროცენტული ოდენობით თანხის გადახდა.

განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით თანახმად, დამსაქმებლის მიერ, მითითების შესაბამისად, 2021 წლის 20 ოქტომბერს, №141 ბრძანებით ცვლილება შევიდა ორგანიზაციის შინაგანაწესში, რომლის თანახმადაც, 5.4.1 პუნქტის შინაარსი შეიცვალა და ნორმის ახალი რედაქციით დამსაქმებელს დაევალა საბოლოო ანგარიშსწორებისას დასაქმებულისთვის გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად. ამასთან, წარმოდგენილი ბუღალტრული და საგადახდო დოკუმენტაციით დასტურდება საჩივრის ავტორის (ყოფილი დასაქმებულის) [redacted] სადაო 680.80 ლარის და საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნების დღეებისათვის გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება -ჯამში 689.38 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის შესწავლის, დამსაქმებელთან გასაუბრების, განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით, 2021 წლის 22 სექტემბრის №002457 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმითა და 2021 წლის 22 სექტემბრის №002457/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხის შესწავლის საბოლოო შედეგები შემდეგნაირია:

№	გაცემული მითითება	შედეგი

1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი** „მუხლი 31. შვებულების ხანგრძლივობა 1. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.“ „მუხლი 32. შვებულების მიცემის წესი 2. მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულს მუშაობის მეორე წლიდან შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს.“	**მითითება შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი** „2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად დასაქვითი თანხის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.“	**მითითება შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

_____

_____

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

_____

_____

_____

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი:

_____